

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

1.1. სამგანზომილებიანი ხელოვნება და ინსტალაცია - პროფესორი.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და ასევე:

- შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებში დაცულ სადოქტორო ხარისხს და მუშაობის გამოცდილებას.

2.2. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს 2018 წლის 25 ივნისიდან - 2018 წლის 28 ივნისის ჩათვლით.

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

1. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/81433646818463>
2. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.
3. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2018 წლის 29 ივნისიდან - 2018 წლის 2 ივლისის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2018 წლის 3 ივლისიდან - 2018 წლის 6 ივლისის ჩათვლით**.
4. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 3 წლის ვადით.

#### 5. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიდმის საუნივერსიტეტო კამპუსი  
ვებ-გვერდი: [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@freeuni.edu.ge](mailto:Vacancy@freeuni.edu.ge)